



საია მედიის მიმართ ძალადობის ფაქტებზე რეაგირებას მოითხოვს

საია მოუწოდებს შსს-ს ეფექტური რეაგირება მოახდინოს მედიის მიმართ ძალადობის ფაქტებზე. გლდანის ოლქის N79 საარჩევნო უბანთან [D██████████](#) ჟურნალისტს უბნის პერიმეტრზე მყოფი ერთ-ერთი პირი [თავს დაესხა](#). აღსანიშნავია ისიც, რომ ეს პირი მედიის სხვა წარმომადგენლებსაც დაუპირისპირდა და მათი მისამართით საჯაროდ იგინებოდა.

ამავე უბანთან მიმდინარე დაპირისპირების დროს, [სახის არეში დაზიანება](#) მიიღო TV პირველის ჟურნალისტმა ანა ახალაიამაც.

საია მოუწოდებს შსს-ს დროული და ეფექტური რეაგირება მოახდინოს ჟურნალისტების

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



მიმართ განხორციელებულ ძალადობრივ ქმედებებზე და უზრუნველყოს მედიის წარმომადგენლების უსაფრთხოება კენჭისყრის დღის გაშუქებასთან დაკავშირებით.